ქალაქ ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №31

2018 წლის 16 მარტი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №29 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 01/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132. 016225) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ბაგრატიონის პირველი ადმინისტრაციული ერთეული;“;

ბ) დადგენილების პირველ პუნქტს „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ^{1}“ ქვეპუნქტი:

„დ^{1}) ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეული;“;

გ) დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეული – 26 მაისისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთიდან ზუბალაშვილისა და 26 მაისის ქუჩების კვეთამდე კენტ მხარეს; ზუბალაშვილისა და 26 მაისის ქუჩების კვეთიდან ვაჟა-ფშაველასა და ზუბალაშვილის ქუჩების კვეთამდე კენტ მხარეს; ზუბალაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთიდან ნინოშვილისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთამდე კენტ მხარეს; ნინოშვილისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთიდან ზღვის სანაპირო ზოლის ჩათვლით გოგებაშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთამდე; გოგებაშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთიდან ჭავჭავაძისა და 26 მაისის ქუჩების კვეთამდე ჭავჭავაძის ქუჩის ლუწ მხარეს შორის არსებული ტერიტორია.

ბ) რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეული – ტბელ აბუსერიძისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთიდან შ. ხიმშიაშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთამდე ჯავახიშვილის ქუჩის კენტ მხარეს; შ. ხიმშიაშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთიდან ზღვის სანაპირო ზოლის ჩათვლით ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქუჩების კვეთამდე; ნინოშვილისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთიდან ზუბალაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთამდე ლუწ მხარეს; ზუბალაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთიდან ზუბალაშვილისა და 26 მაისის ქუჩების კვეთამდე ლუწ მხარეს; 26 მაისისა და ზუბალაშვილის ქუჩების კვეთიდან ჭავჭავაძისა და 26 მაისის ქუჩების კვეთამდე ლუწ მხარეს; 26 მაისისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთიდან ტბელ აბუსერიძისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთამდე ჭავჭავაძის ქუჩის ლუწ მხარეს და ტბელ აბუსერიძის ქუჩის კენტ მხარეს შორის არსებული ტერიტორია;

დ) ბაგრატიონის პირველი ადმინისტრაციული ერთეული – ჭავჭავაძისა და 26 მაისის ქუჩების კვეთიდან ბაქოსა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთამდე ჭავჭავაძის ქუჩის კენტ მხარეს; ბაქოსა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთიდან ბაქოსა და შავშეთის ქუჩების კვეთამდე ბაქოს ქუჩის ორივე მხარეს ზღვის სანაპირო ზოლის მხარეს; ბაქოსა და შავშეთის ქუჩების კვეთიდან შავშეთის, სერგი მესხისა და მამია ვარშანიძის ქუჩების კვეთამდე შავშეთის ქუჩის ლუწ მხარეს; შავშეთის, სერგი მესხისა და მამია ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან მამია ვარშანიძისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთამდე მამია ვარშანიძის ქუჩის ლუწ მხარეს; მამია ვარშანიძის და სულაბერიძის ქუჩების კვეთიდან სულაბერიძისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთამდე სულაბერიძის ქუჩის

კენტ მხარეს; სულაბერიძისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთიდან ბაგრატიონისა და 26 მაისის ქუჩების კვეთამდე ბაგრატიონის ქუჩის ლუწ მხარეს; ბაგრატიონისა და 26 მაისის ქუჩების კვეთიდან ჭავჭავაძისა და 26 მაისის ქუჩების კვეთამდე 26 მაისის ქუჩის კენტ მხარეს შორის არსებული ტერიტორია.“.

დ) დადგენილების მე-2 პუნქტს „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეული – ტბელ აბუსერიძისა და გენ. ასლან აბაშიძის ქუჩების კვეთიდან ჭავჭავაძისა და 26 მაისის ქუჩების კვეთამდე ტბელ აბუსერიძის ქუჩის ლუწ და ჭავჭავაძის ქუჩის კენტ მხარეს; ჭავჭავაძისა და 26 მაისის ქუჩების კვეთიდან 26 მაისისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთამდე ლუწ მხარეს; ბაგრატიონისა და 26 მაისის ქუჩების კვეთიდან ბაგრატიონისა და გენ. ასლან აბაშიძის ქუჩების კვეთამდე ლუწ მხარეს; ბაგრატიონისა და გენ. ასლან აბაშიძის ქუჩების კვეთიდან ტბელ აბუსერიძის და გენ. ასლან აბაშიძის ქუჩების კვეთამდე გენ. ასლან აბაშიძის ქუჩის ლუწ მხარეს შორის არსებული ტერიტორია.“;

ე) დადგენილებას მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „2^1“ პუნქტი:

„2^1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების სქემატური რუკა, თანახმად დანართისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**